

ყველაზე საუკეთესო – ცეროლენებს!

ბათუმის ქათათას „მიჩნალ“ ხიდის მასახს



ბათუმის ხსენებისას სულიკო კოროშინაძის ტებილმშობლიური მელოდია ჩამესმის. ბოლო წლებია „ბათუმის ქათქათას“ შევითად მდერიან. აჭარის დედაქალაქს ბევრი რამე მატებს ლაზათს და მათ შორის არის საბავშვო აკადემია „მირაკულა“. შეხვალთ და წამოიძახებთ: „ეს თვალები რას ნახავენ სხვა უკეთეს სანახავა!“ აი, ეზო-გარემო, ინფრასტრუქტურა – მომხიბლავი, მზრუნველობა – დედობრივი. ნორჩების ბედნიერი ბავშვობის მხილველი, მათი ხალისიანი უივილ-ხივილის შემსწრე, ასაკოვანიც ახალგაზრდა ხდები და უნდებურად წამოიძახებ: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაპრუნდებოდეთ, ნეტავი!“

ორი წელია ეს აკადემია ფუნქციონირებს. წარმატებული და პოპულარული გახდა. აქ მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებს მეტად გამოცდილი, ნალი პროფესიონალი აღმზრდელ-დედაგოგები გატაცებით უძლვებიან. პარმონიულად არის

შეკრული კოლექტივი. ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდობული დირექტორის გულო სურმანიდის ხელმძღვანელი კოროდინატორი გურანდა გოგიტიძე.



ვანებლობით, პედაგოგები ერთობლივად იბრძვიან დიადი მიზნისთვის. დიადი მიზანი კი საქართველოს მშენებელი მომავალი თაობის აღმზრდა გახლავთ, უფრო კონკრეტულად კი – პატარების ცხოვრებით საჭირო ელემენტარული უნარ-ჩვევებით აღჭურ-

იგი ამ დაწესებულების სული და გულია. გურანდას დახმარებით აღმზრდელ-პედაგოგები წარმატებით ართმევენ თავს საპატიო საქმეს. პედაგოგიკაში ცონბილია ფორმულა „სწავლა თამაშით“. თამაშის-გართობის დროს მოზარდი ბევრ რამეს შეიმეც-



ნებს. ნიჭიერი ფსიქოლოგის მარინე ჭანკურიძის მიერ ჩატარებული დიდაქტიკური თამაშები მეტად შედეგიანია. ასევე მაღალ დონეზე მიმდინარეობს ინგლისურისა და რუსული ენების სწავლება. გურანდა გოგიტიძე და მარი შევაშიძე ჩინებული პედაგოგები არიან, თვალსაჩინო შედეგებს აღნევენ.

აღმზრდელთა მიერ მოწყობილი ღონისძიებები, მეცანონებები, ექსკურსიები ერთობლიობაში სასიხარულო შედეგების მომტანია. მოწყობები შემოდგომის ფესტივალი, საახალწლო ნაციის ხის პრეინვალე ზეიმი. აპრილში დაგეგმილია გაზაფხულის ფესტივალის ჩატარება. დამ-

გი ინგა კვერლელიძე. მის ნიჭიერ აღსაზრდელებს ხალისი და სიხარული შეაქვთ საბავშვო აკადემიის ცხოვრებაში. მაგალითად, დიდებული იყო საახალწლო ზეიმი – მომხიბლავი, ჯადოსნური. ჰყავდათ საჩუქრებით ხელდამშვენებული „თოვლის ბაბუა“. იმღერეს, იცივეს, ისმოდა ტკბილმშობლიური მელოდიები: „ფიფქები ცვივა და ფიფქები მდერიან, გამოდი, გამოდი, ახალი წელი!“ „მირაკულაში“ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნორჩით კვებას. მრავალფეროვანი, არომატული, ყუათიანი, ეკოლოგიურად ჯანსაღია მენიუ. დაწესებულია ოთხჯერადი კვების რეჟიმი და ამ სფეროს



აგვირგვინებელი იქნება მეტად ემოციური გამოშვების ზეიმი. ივნისში.

და ყოველივე ამის გამლამაზებელი, სიხარულ-სიცოცხლის მომნიჭებელი გახლავთ მუსიკის ბრნყინვალე პედაგო-

ნარმატებით უძლვება სანპიგიენური სამსახურის კოორდინატორი, გამოცდილი ექთანი მაგული ფუტკარაძე.



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ახალგაზრდობა – იმპიდი ხეალის!

კულტურული უსასახლების სამსახურის სამსახური



ჯან-ღონით აღსავსე მოსწავლე-ახალგაზრდობა უმიზნოდ დროს არ უნდა ფლანგავდეს. ქვეყნის მომავალზე ორიენტირებული, ცხოვრების ული ცოდნით, უნარ-ჩვევებით აღჭურვილი (რა სფეროში, რა დარგშიც უნდა იყოს იგი) თაობების აღზრდა ჩვენი განათლების სისტემის უმთავრესი სტრატეგიული ამოცანაა. ამ ახალ წელს განათლების ახალი მინისტრი ბევრი პერსპექტიული სიახლე-პროექტის ინიციატორად მოვალეობინა. მათ შორის ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტიული განათლების აღორძინება-განვითარებაა. პრესტიული პროფესია არ არსებობს. ერთ-ერთი არ არსებობს. რითა სჯობს პოლიტოლოგი ან იურისტი თავის საქმის დიდოსტატ მზარეულს? თავის ადგილზე ყველა სპეციალობა საჭიროა, ყველა საპატიო და საამაყოა.

ჩვენი ქვეყანა ჩვენ უნდა ავაშენოთ. რატომ უნდა ჩამოვიყანოთ უცხოეთიდან: დურგალი, კალატოზი, ელექტრიკოსი, მხენველ-მთესველი, კირით-ხურო თუ სხვა ვინმე? ეროვნული სიამაყისა და ლირსების საქმეა რომ საკუთარი კადრები გვყავდეს. აი, რას წერდა ამის შესახებ ლომონოსოვა: ვამაყობ, რომ რუსეთის მინასაც შეუძლია შვას ბრძენი პლატონები და სწრაფი ნიუტონებით.

გვახარებს და იმედით გვავსებს: უკვე გამოჩდნენ ახალგაზრდობიდან პირველი მერცხლები, რომელ-ბიც უცხოეთში გასაქცევ გზას კი არ ეძებენ, არამედ სწავლას სასარგებლო შრომას უთავსებენ, რიგით მუშის საქმიანობას არ თაკილობენ.

დღევანდელობის ამ აქტუალურ, სასიცოცხლო პრობლემებზე რედაქციაში შემოვიდა მკითხველის მაია ჯიქიას საინტერესო წერილი. გთავაზობთ მას უცვლელად.

ახალგაზრდობა მომავალ დღეთა...

ის არავის ჰგავს, ჯერ ოცი წლისაა და უკვე გამოკეთილად ინდივიდუალური, მიზანმიმართული და ნიჭიერია.

თბილისის „კიევის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და სწავლასთან ერთად კერძო ბიზნესის სექტორში გაბეჭდულ პირველ ნაბიჯებს შედეგიანად დგამს. მისი ნარმატება იმდენად მრავლისმთქმელია, რომ მისაპარ მაგალითად გა-

მოადგება უამრავ მის თანატოლს. მითუმეტეს, ასეთი გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდები იმვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება დღევანდელ საქართველოში. მეტად სასიხარულო, საამაყოა, რომ მამულს ჰყავის ისინი ყველგან, საითაც გაიხედავ, ოლონდ უნდა აღმოაჩინო, დააფასო, ხელი შეამველო. არ დაამადლო, რომ უფროსი ხარ, ეხმარები, მასზე მეტი იცი ცხოვრებისეულ საკითხებში. უნდა გაუზიარო ყოფილების, არსებობის იდუმალი შტრიხები და ეს იმ დროს, როცა დღეს ახალგაზრდების ნაწილი ამერიკაში გარბის, ნაწილი თურქეთში, ნაწილი – რუსეთში. ეს კი, ვიტირობთ, სამთავრობო სტრუქტურების არასწორი პოლიტიკის შედეგია. შები ხალთაში არ დაიმალება, მანიც გამოჩნდება ხალხი, ვინც მამულის სამსახურში დგას ყველგვარ ვითარებაში. ასეთებისთვის მამულის სამსახურად ცუდა და კარგი დრო არ არსებობს. სწორედ ასეთი ახალგაზრდების წარმოჩნდა ემსახურება ეს წერილი.

მას ყველა „ბრილიანტს“ ეძახდა სამსახურში საუკეთესოდ შესრულებული სამუშაოსთვის, რესტორან „ქ. ქალაქში“ (დილომი, ი. ხელაშვილის ქ.) მიმტანად მუშაობისას. ახალგაზრდა ბიჭის გატაცებული მუშაობით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ როგორც უფროსები, ასევე თანამშრომლები. შემდეგი სამუშაო მან რესტორან „მეფეთუბანში“ (ქველი თბილისი) იშმოვა. აქაც მიმტანის პოზიცია ეკავა და ხელფასი, როგორც წინა სამუშაო ადგილას, აქაც 15-20 ლარით შემოიფარგლებოდა დღეში. თუმცა სამუშაო ადგილის შეცვლას ისევ გეგმავდა და რესტორან „კარაველაში“ (თბილისის ზღვა) მოეწყო. „კარაველაშიც“ ისევ მიმტანად მუშაობდა. რესტორანის ხელმძღვანელობამ აქაც შენიშნა მისი პროფესიული და პირველული ლირსება – უპირატესობა და დანინიაურეს „ვაზერის“ (მიმტანთა უფროსის) თანამდებობაზე. ახალგაზრდას ხელს უმართავდა რესტორანის ერთ-ერთი დამაფუძნებელი მარიამ ბეროშვილი, ვის მიმართაც მადლიერებას დღესაც ატარებს. აქ ხელფასი თვეში 800 ლარს აღნევდა და კარგი მუშაობისთვის დანამატის მიღებასაც ახერხებდა. აქაც მისი კარგი მუშაობით აღფრთოვანებული უფროსები და თანამშრომლები „ბრილიანტს“ ეძახდნენ. სამუშაო კარგი იყო, მაგრამ ახალგაზრდა ბიჭი უფრო მეტს სთხოვდა თავის თავს და გადაწყვეტა, თავად გაეხსნა ახალი რესტორანი. განზრავას ფრთხი შეასხა კიდეც. სახელწოდებაზე დიდი ფიქრი არ დასტირვებია, თანამოაზრე ნანა ჯოშკარიანთან ერთად, გადაწყვეტა, რომ „ბრილიანტი“ დაერქმია და ასეც მოიქცა.

რესტორან „მრილიანტი“ თბილისის ერთ-ერთ ღამაზ უბანში, გლდანის I მ/რ-ში, ფორე მოსულიშვილის №1-ში მდებარეობს და სტუმრებს სთავაზობს როგორც ქართული, ასევე ევროპული სამზარეულოს კერძებს. მზარეული ნანა ჯოშკარიანი სულ 27 წლისაა, მაგრამ უკვე გამოცდილია, გამორჩეულად გემრიელ არმატულ კერძებს ამზადებს.

რესტორანის მყუდრო დარბაზში სულ 14 მაგიდაა განთავსებული და ერთდროულად 100 სტუმრის მიღება შეუძლია. დარბაზს ყველ სალამოს სასიამოვნო მელოდიებით ატებობს მომღერალ გოორგი ნო-



ნიაშვილისა და სალომე ნიქორიძის სიმღერები, როგორც ქართული, ასევე ევროპული რეპერტუარიდან. ერთი სიტყვით, სტუმრობის მსურველთ რესტორანი „ბრილიანტი“ მომზადავ სალამის პირდები. სტუმრებს ემსახურება ახალგაზრდა მიმტანი მიშმა აპრა-მიშვილი... ენერგიული და ხალისიანი. მისი უთუოდ ღიმილიანი სახე სტუმრებს მუდამ გაასარებს.

აი, ისიც ჩვენი წერილის მთავარი პერსონაჟი: სრულიად ახალგაზრდა კაცი, როცი წლის სტუდენტი ღევეგრიული და რესტორანის შემთხვევაში.

ოლეგი აბაში რაიონის სოფელ მარანში დაიბადა. აქვე დაამთავრა საჯარო სკოლა, იმავე წელს ეროვნულ გამოცდებზე სცადა ბედი და თბილისის „კიევის უნივერსიტეტის“ იურიდიულ ფაკულტეტში მოხვდა. სოფელ პირველი მაისის სკოლის კედლებში გატარებული წლები დირექტორის რიტა გოგოშვილის და მასწავლებლის რუსიკ გიგინებილის მშობლიური სითბოთი და მაღალი პედაგოგიური პროფესიონალი სავარაუდას, რამაც მის პირველულ ჩამოყალიბებას უდაოდ ხელი შეუწყო. დედაქალაქში ჩამოსულს ცოტა ხანი მამიდის ივახტი პატრონობდა, მაგრამ ახალგაზრდას დამოუკიდებელი ცხოვრების სურვილი არ ასვენებდა, ჭკვიანი, თანამიმდევრული ნაბიჯებით მიინევდა წინ, გამოუცდელისთვის ძნელი იყო ეს გზა, მითუმეტეს, დღევანდელ რთულ სოციალურ-დემოგრაფიულ სივრცეში, დაუკავებელმა სწრაფამ გაითარა: ოლეგ რუსულა მიზანს მიაღწია. იშვიათი წიქის ქართველი ახალგაზრდა, რომელიც სირთულეებს არ შეუშინდა, ამით, ე.ი. დამოუკიდებელი ცხოვრებისეული ნაბიჯებით მაგალითს აძლევს როგორც თანატოლებს, ასევე – უფროსებს, რომელთაც ჯერ საქმისთვის ხელი არ მოუკიდათ და სხვის კმაყოფაზე არიან.

და ჩვენც რესტორან „ბრილიანტის“ სტუმრებს მშვიდ და წყნარ გარემოსთან, უმაღლესი ღიმილის მომსახურებასთან ერთად, იმედი მოგვყენება შინ – ახალგაზრდა კაცის წარმატების დიდი იმედი.

და, მუდამ გამარჯვება იყოს მასთან. იმრავლონ როგორისნაირებმა!

გაია ჯიშა

→ 1-ლი გვერდიდან

ბერების ცათათას „მიჩანა“ ხილის მასახური



მშობლებსა და აღმზრდელ-ჰედაგოგებს შორის სუვერენიტეტის შემატებილებული თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები მასარში უდგანან „მირაკულას“, თავად მონაწილეობენ ზეიმებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, თუნდაც ისეთში, როგორიც არის მხიარული სტარტები, ანდა გამოშვების ზეიმები. მომავალ სასწავლო წელს, სექტემბერში „მირაკულას“ აღზრდილი, სკოლისთ-

ვის კარგად მომზადებული 12 წიჭირი ცეროდენა მიუსკუპ-დება პირველი კლასის მერხებს. კიდევ ბევრი კარგი ის თქმა შეიძლება ამ საბავშვი აკადემიაზე.

დიდი მადლობა ყველა თანამშრომელს თავდადებული მოლვანებისათვის!

კეთილი სურვილებით და გემშვიდობებით „მირაკულებო“ და მუხრან მაჭავარიანის სტრიქონებით მოგმართავთ: „კიდევ უფრო ბევრი შვილი

გამოზარდე სასახლელო, კიდევ ერთი რუსთაველი კიდევ ერთხელ აამდერო, შეგიძლია „მირაკულავ“, გაგიმარჯვოს საქართველოვან!

„ათინათის“ სტრატეგია: „გულს გვისვენია ხატადა – მნა, მაგული, სარწმუნოება“!

პოეზიის ბენეფისი და მაღალი ნანგის ნაწილის განვითარება



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში პოეტ გურამ გელევანიშვილის პოეზიის ბენეფისი და უურნალ „ათინათი“-ს 26-ე ნომრის წარდგინება გაიმართა, რომელსაც მწერლები, პოეტები და ხელოვნების მოყვარულები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ორგანიზატორი გახსნდათ უურნალ „ათინათი“-ის მთავარი რედაქტორი, ჩინებული პოეტი და უურნალისტი გულნაზ ხარა-

იშვილი. „ათინათი“-ს მაღალ მხატვრულ ღირებულებაზე არაერთხელ ითქვა და დაინერა ჩვენს გაზითში, რომ იგი გამოიჩინა არამარტო თემატური მრავალფეროვნებით, არამედ მაღალი პოლიგრაფიული დონით და უდაოდ, დიდ როლს ასრულებს თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროში, ხელს უწყობს ნიჭიერი პოეტების წარმოჩენას, მათი შემოქმედების პროპაგანდას.

საღამოზე გულნაზ ხარაშვილი გულნაზ ხარაშვილი მისი უმ-თავრესი სათქმელია: სიკეთე, სიყვარული და პატრიოტიზმი. პოეტისა და პირადად პოეტის ბენეფისზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი. მან საქებარი სიტყვები არ დაიმურა შემოქმედის მისამართით. ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით,

გურამ გელევანიშვილის „ლვაწლმოსილის“ წილება მიანიჭა. ლონისძიებაზე ნაჩვენები იყო კინორეჟისორ ნიკო ბალაშვილის საავტორო ფილმი-ჩანახატი გურამ გელევანიშვილზე. ამ ფილმმა მხატვრული ღირსებით, რეჟისორული გადაწყვეტილი დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დამსახურა.



გვიყვარდეს „ათინათი“! ვიკითხოთ „ათინათი“!

სათაურიდან ახალგაზრდობისადმი იოსებ ნონეშვილის შეძახილი გვესმის: „გვიყვარდეს საქართველო, მეტად, თავზე მეტად!“ ასე გვინდა ყველას მოვუწოდთ: „იკითხეთ ათინათი!“, „გვიყვარდეთ ათინათი!“! ეს უურნალი დღეს ჩვენი ერის საუნჯეა, ცოდნა-განათლების წყაროა, ცხოვრების სახელმძღვანელოა. თავისი ენციკლოპედიურობით სწორი გზით სიარულს გვასწვილის.


უურნალ „ათინათის“ შემოკრებილი ჰყავს ნალები ჩვენი მეცნიერებისა, ხელოვნების მოღვაწეთა, მწერლებისა, პედაგოგებისა, მოწინავე ინტელიგენციისა. მისი სტრატეგიული დანიშნულება ნიჭიერთა წარმოჩენა-დაკავალიანება, ახალი სახეების გაცნობა და მათი დაცვა გახსავთ. ამ მიზნებს ემსახურება და დიდი წარმატებით ახორციელებს მთავარი რედაქტორი, ერუდირებული შემოქმედი, თავადაც ჩინებული პოეტი გულნაზ ხარაშვილი თავის ნიჭიერ კოლექტივთან შეხმატებილებით. მკითხველის, საზოგადოების დიდი მადლობა მათ!

იქნებ ზუსტი შედარება არ იყოს, მაგრამ

„ათინათის“ საქმიანობა თავისი მნიშვნელობით, სიდიადით ილიასა და მისი „ივერიის“ მოღვაწეობას გვაგონებს.

აქ ახალი სახეების წარმოჩენა და პოლულარიზაცია ხდება, ვთქვით. დიახ, რად ლირს გაშუქება თბილისის 167-ე სკოლის მეითხველთა კლუბ „მთიების“ საქმიანობისა, რომელსაც ბრწყინვალე, წარმყვანი პედაგოგი ლამარა გერგედავა უძღვება.

მეჯავრება სიტყვა „პრეზენტაცია“, მამაპაპური „წარდგენა“ ან „განხილვა“ მირჩევნია. ჰოდა, ახლახან „ათინათის“ გასული წლის ბოლო ნომრის წარდგენა-განხილვა მოეწყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ღონისძიების მთავარი სახე-პერსონაჟი გახლავთ ორიგინალური სმის პოეტი და მრავალმხრივი შემოქმედი გურამ გელევანიშვილი. მისი ლიტერატურული ფსევდონიმია „გურა-ნეგურა“. იგი ავტორია ლექსთა კრებულისა „ვერეს უბნის ზმანებანი“. გთავაზობთ „ათინათში“ დაბეჭდილ მის რამდენიმე ლექსს, რომელიც ხალხურ კილოზე სმიანობს.



თბი, მოდი წვერიშვილი

თბი, მოდი წვერიშვილი, წერილი და მომენტული წერილი, მომიყევ ზეცის ამბავი, მზეს საით ჩაეძინაო; მდუმარის წყლებზეც მითხარი, ვინ წარსდგა ღმერთთან წინა, ვის უძღვნა წყალობის თვალი, მიწად ვინ დააძინაო ვინ სთხოვა მარად სიცოცხლე, მარად სიცოცხლე სულისა, ჩვენა ღამაზი კაცობის საწყისი დასასარულისა. მეორედ მოსვლა ამ ქვეყნად, წვიმად ან ნექტრის მწოველად პარანა მშრომელ ფუტკრადა, ან ჰანგთა დამანყობელად. შენ ხომ მშობელი დედა ხარ, საწყისო საწყისთ-საწყისის, ვინ სად შობილა, ნეტა რად არ ყეფს, არ ყმუის, არ წივის. ფრთებად მქმენ, ფრთებად, მეოხევ, შემწევ ამ ჩემის ბედისა, მაღლობელი ვარ ყოველთვის, რადგან სიმღერა მეღირსა. თბი, მოდი წვიმავ, წვიმაო, უშენოდ მომენტინაო, მომიყევ ზეცის ამბავი, მზეს საით ჩაეძინაო;

გურამ გელევანიშვილი

სელი მუნიციპალიტეტი

ჰომი, პატარა, უსუსურო, სულო მცინარავ, ამ შუადლებზე

რა ძილქუშმა დაგამძინარა, რარი გ გიხდება დაფულობილი

დაფულობილი იას ჩრდილები, წყნარი ღობილი-ნაკადული, ნამის ღილები. დრო მიმდინარებს, შენ კი მარად გძინავს შუადლით, მერთალ მელოდიის ქარვის ფიფქთა, ლურჯი სურათით.



„ვერეს უბნის ზმანებანი“
ნახადი: თამარ გელევანიშვილისა

P.S. ანუ რედაქტორის მინაწერი: ბატონ გურამს ვულო-ცავთ ახალ წელს და ვუსურვებთ ახალი ლექსთა კრებულის გამოცემას!

გვერდი მოამზადეს: მზია
გოგოძიშვილ და პორჩის
გილვალაპერა



„ფერებს უბნის ზმანებანი“
ნახადი: თამარ გელევანიშვილისა

მონაბეჭი ბაზილის პრემიი გამარჯვება

მე ღცნებაში ბაბილონის კოშკი ავაგე. კოშკი იდგნენ და ოცნებისა არა სჯეროდათ, მე ღცნებაში ცათა ვთხოვდი, ცათა არაფერს. ცა მიყურებდა და დაისის ფერით კვედებოდა. ვიცი, სიკვდილი თიხასავით ყველას დაგვანგრევს, თვალებს ნაგვართმევს და სიბრძნეში მოგვცემს ბერობას. მე ღცნებაში ბაბილონის კოშკი ავაგე, კოშკი იდგნენ და ოცნებისა არა სჯეროდათ.

ნომრის სტუმარია თბილისის მე-40 ბაბა-ბაზი

აქცეროდენებისთვის ყვალაფერი საუკათასო



სკოლამდელი განათლების სისტემაში ახალ გამოწვევებს ახალი ხედითა და მიღებით პასუხობენ მე-40 ბაბა-ბაზი. ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის ამ სავანეში, ნახევარ საუკუნეზე მეტია პატარებს თავს ევლებიან გამოცდილი აღმზრდელ-პედაგოგები და თანამშრომლები. თავდაპირველად ოთხი ჯგუფი ჰყავდათ, შემდეგ ამას ბევრი სიახლე, ბევრი სიკეთე მოჰყვა და კონტინგენტიც გაიზარდა, (214 აღსაზრდელი - 6 ჯგუფში), მოსახლეობაში კი ავტორიტეტი და სიყვარული დამკვიდრეს. ბალის დირექტორი ნატო მახარაძე-ჯალალანია პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია,

ამების კოორდინატორი ეკა ბეგანაშვილი: ვეუბაობთ მშობლებთან მჭიდრო კავშირისა და ინდივიდუალური გეგმების მიხედვით. ფსიქოლოგი გვანცა ტაბატაძე აკვირდება პატარებს და ეხმარება პედაგოგებს, როგორ ჩართონ ბავშვი ჯგუფში ან როგორ გადაჭრან წამოჭრილი პრობლემა. გვაქს კარგად მოწყობილი ექიმის კაბინეტი. ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორია ხათუნა ომანაშვილი; გვყავს პროფესიონალი ლოგო-პედი მარინე ზანგალაძე; ისინი დამოუკიდებელი აზროვნების, მეტყველებისა თუ ჯანსაღი ჩამოყალიბების ნანი კაჭარაბაში შემუშავებულ რეკომენდაციებს აცნობენ მშობლებს,

და საქმისმნარმოებლებს - მაია მეტრეველსა და მარინე ფხალაძე.

თბილ, კოლეგიალურ გარემოში, ჯანსაღ, მოწესრიგებულ სიტუაციაში, პროფესიონალი აღმზრდელ-პედაგოგები: ხათუნა რომელაშვილი, მაია შათირიშვილი, ელიზა უგრეხელიძე, მადლინა მლელდლიაშვილი, ზიზი ჩოხელი, გოული ქვლავიძე, თეა კარტოზია, ნინო თბილი, თამარ ბოკერია საინტერესო და ხალისიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შექმნაზე ზრუნავენ.

საკამაოდ დატვრითული დღის რეჟიმი აქვთ აღმზრდელის თანაშემწევებს: ნანი კაჭარაბაში შემუშავებულ რეკომენდაციებს აცნობენ მშობლებს, მაია



ზრუნავენ თითოეულ ბავშვზე, ყველაფერს აკეთებენ ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. ჯგუფებში გახსნილია ცენტრუ-

ლეფავას, ნინა ზულიაშვილს, ეკატერინე ცხადიაშვილს, გვანცა ტაბატაძეს. პატარები ხშირად ითხოვენ ხელში აყვანასა და დაყვავებას. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთა შრომის შედეგითაც რწმუნდება მშობელი, რომ მისი შვილი სამძღვრო ხელშია.

აღსაზრდელები ბავშვთა შემოქმედების გამოფენა-ფესტივალებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობენ. საახალნლოდ მათ საინტერესო მუსიკალური ნომრები და სკეტჩები ნარმოადგინეს, ზღაპრის გმირებიც განასახიერეს და თოვლის პაპასთან ერთად



წლების მანძილზე სკოლაში მუშაობდა და მეთარომეტე წელია ყველაფერს აკეთებს ბავშვებისთვის საიმედო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად. ბაგა-ბალში ეტაპობრივად ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კეთილმოენ ეზო, დაიდგა საბავშვო ატრაქციონი - სასრიალო პლატფორმა, გასაძროები, აინონა-დაინონა. შესვლისთანავე მიაქცევთ ყურადღებას ეზოში გაშენებულ ვაზის ხეივანს, რომელიც წლების ნინათ, ქალბატონი ნატოს მეუღლის ბაბუას პართენჯალალანიას თავისი ხელით გაუშენებია.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და სხვა ღონისძიებებზე გვესაუბრა საგანმანათლებლო პროგრ-

ბი მაგალითად, მეტყველების განვითარების, მათემატიკის, ხელოვნების, ბუნებისა და ფიზიკური სამყაროს ცენტრი, სადაც ბავშვები საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად გადანაწილებიან და აღმზრდელი შესაბამის დავალებებს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად აძლევს.

მომავალი თაობის აღმზრდას ერთმანეთის მხარდამხარე ემსახურება და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს კოლექტივის თითოეული წევრი. დირექტორთან ერთად ჩატარებულ სამუშაოებსა და მიღწეულ შედეგებში დიდი წვლილი შეაქვთ - დირექტორის მოადგილე მეგო აბესაძეს, სამეურნეო ნანილის კოორდინატორის ირმა დალაქიშვილს



ქეთევან რევაზიშვილი და მრეცხავი მარიამ გეჯაძე.

თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილ ბალის შენობას სხვაზე ნაკლებად როდი უფრთხილდებიან დარაჯე/დაცვა: ვაჟა ფარსალაშვილი, ვაჟა დოლიძე, ნოდარ მაჭავარიანი; იური ხუციშვილი (მუხა), ტრიფონ გაბრიელიძე (მებალე), მიხეილ ჭინჭარაშვილი (მეეზოვე).

ბაგა-ბალის ცხოვრებაში დიდია მშობელთა ჩართულობა.

დროც მხიარულად გაატარეს. ასეთ ზეიმებზე ამ პატარებს ბადალი რომ არ ჰყავთ, ეს მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების - მანანა კოვასა და გვანცა ჯელიას დამსახურებაა.



სპეციალური პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს პატარების აღმზრდა-განათლება 5-6 წლიანთა მზაობების ჯგუფში (აღმზრდელები — თეა კარტოზია, მაკა შათირიშვილი, აღმზრდელის თანაშემწე - ლია ფირანაშვილი). აქ შესაბამისი ასაკიბრივი ჯგუფის პროექტები ხორციელდება, როგორიცაა „წიგნის დღე“, „შემოდგომის ფერები“, „ძეგლები“, „წელიწადის დროები“, „მხიარული მათემატიკა“ და სხვა; შეგვიძლია კვირის თემებს, დღის რეჟიმისა და ჯგუფის წესებსაც გავეცნოთ: „მივესალმოთ

დირექციასთან კომუნიკაციის გარდა, ისინი სარგებლობენ საინფორმაციო ყუთითაც, სადაც თავიანთი აზრებისა თუ შენიშვნების მოთავსება შეუძლიათ.

როგორც დირექციაში გვითხრეს, ერთი, ჯერვერობით, მოუგვარებელი პრობლემა აწუხებთ - როგორც ყველან, აქც გადაიტანეს გაჭირვების წლები, ბალის შენობაში დევნილთა რამდენიმე ოჯახი (ცხოვრობდა და დღემდე ამ შენობაშია შეკედლებული მოსაცავებისა და გამოვალებისაც დიდუბის ფილიალი, რომელიც



ერთმანეთს, ვითამაშოთ ერთად, დავიცვათ სისუფთავე, ვისწავლოთ თავაზიანი მიმართვა, დავეხმაროთ ერთმანეთს“ და სხვა; აქვეა „მშობელთა კუთხეც“ და ნახატებისა თუ ხელნაკეთი ნივთების გამოფენაც. ეს ყველაფერი ბავშვებზეა მორგებული და მათვის სახალისო გარემონი მიმდინარეობს.

შესაბამისი კალორაჟის დაცვით, კეთილმოწყობილ სამზარეულოში უგემრიელეს კერძებს ამზადებენ მზარეული მზიანი გეჯაძე და მზარეული დამხმარე ნათელა ჯალალანია, რომელიც ბალის დაარსების დღიდან ზრუნავს პატარებზე.

ბალის პიგინსას და სისუფთავეს უზრუნველყოფები: თამარ ტონია, ნათია რომელაშვილი, ირინა დალაქიშვილი, მზია მაისურაძე,

ნათია გურგარენის!

ნათია გურგარენი

„მომა“



ლამარა გერგედავა

მართლაც ცისკრის ვარსკვლავით ბრწყინავს „მთიები“ სკოლის ცხოვრებაში. აი, როგორ აფასებს კლუბის საქმიანობას სკოლის დირექტორი ელენე ფუტკარაძე: „მყითხველთა კლუბი „მთიები“, რომელსაც ეფექტანად ხელმძღვანელობს საუკეთესო, შემოქმედი პედაგოგი, ქართული ენა-ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი ლამარა გერგედავა, მეტად პოპულარულია. იგი ხელს უწყობს საგნის სწავლების ხარისხის ამაღლებას, ასევე გვეხმარება აღმზრდელობით მუშაობაში“.

ჩვენ დავამატებდით: კომპიუტერმა, კოლოსალური სიკეთის მიუხედავად, მოსწავლე გადააჩვია წიგნის კითხვას. წიგნის გარეშე ხომ უწიგნური, უსაქმური თაობა გაიზრდება.

დაუსაქმებელ მოზარდებს „ავნი ზრაცხნი“ ეძალებიან. აკაკი წერეთლის დედა ხშირად იტყოდა: „სიზარმაცე და უქარიბა დედაა ყოველგვარი ბოროტებისათ“. იქნებ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი 51-ე სკოლასთან მომზდარი უბედურებისა.

განათლების ახალი მინისტრის მიხეილ ჩხენების ინიციატივებში ერთ-ერთი პრიორიტეტული, აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაშლა-გააჭტიურებაა.

აი, რას გერგერს ქალბატონი ლამარა „მთიების“ საქმიანობაზე:

„...კითხვაც უნარია, ნიჭია კითხვაცა“...

ლამარა გერგედავა – თბილის 167-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მყითხველთა კლუბი „მთიების“ კურატორი.

„...ყოველი ნორმალური მოთხოვის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი...“

გურამ დორანაშვილი

უნივერსიტეტის ჩამანიშვილი

წერილის სათაური გასული საუკუნის 80-იანი წლების ცონბილი ქართველი მწერლის, ოთარ ჩხეიძის ერთ-ერთი ესედანაა. მისი თქმით, კითხვა ღვთაებრივი მადლია, ჩვენში კი გამორჩეული მცითხველის პრობლემაა... მწერლის ბრძნული სიტყვები თითქოს დღევანდელობას ეხმაურება.

კითხვა, ლიტერატურა, ახალგაზრდის წიგნიერების დონეს ამაღლებს.

167-ე საჯარო სკოლის მყითხველთა კლუბ „მთიები“, ამ მხრივ, ვცდილობთ, შედეგებს მივაღწიოთ. განეიხილეთ რევაზ ინანიშვილის წიგნები; ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელნინდა“; დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“; რიჩარდ ბაზის „თოლია სახელად ჯონათან ლივინგსტონი“; ჩავატარეთ დისკუსია სულხან-საბა ირბელიანის იგავ-არაკების მიხედვით, გვქონდა შეხვედრა პოეტებთან, მანანა ბრაჭულთან, ნინო მოდრევილაძეთან. აღნიშნეთ წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე.

საინტერესო მუშაობა გრძელდება, მყითხველთა კლუბის წევრები ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის უურნალ „ათინათი“ ნორჩი ავტორები არიან (მთავარი რედაქტორი გულნაზ ხარაიშვილი). ჩვენს საქმიანობას მხარს უჭერენ სკოლის დირექტორი დირექტორი ელენე ფუტკარაძე, დირექტორის მოადგილე-ლია ნიშნიანიდე), მშობლები. ეს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებს.

გთავაზობთ მყითხველთა კლუბ „მთიების“ წევრთა მოკრძალებულ ესკიზებს. ისინი მეშვიდეკლასელები არიან და ძალან უყვართ ლიტერატურა, ცდილობენ გახდნენ გამორჩეული მყითხველები, არც პოეტობაზე იტყვიან უარს.

ოცნება და რეალობა

როდესაც ოცნება და რეალობა ერთმანეთს უბირისპირდება, ადამიანი იმედგაცრუებული რჩება... ასე მოხდა სულხან-საბა ირბელიანის იგავში, „გლახავი და ქილა ერბო“, უამრავი გეგმა დასახა, ლამის ფრთები გამოქასა გლახავს...

მინაზე დაშვება მტკიცნეული იყო, ალბათ...

მარიამ ბერიძე

თანასწორობა

პარიეტ ბიჩერ სტოუს ბიძია თომა კეთილი... ალბათ, ავტორის მთავარი სათქმელი ისახა, რომ პლანეტის ბინადრები თანასწორი უნდა იყვნენ...

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია /მუხლი 1/ მოგვითხოვთ: „ყველა ადამიანი

თავისუფალი და თანასწორია თავისი ღირსებითა და უფლებებით“...

ინი გელაძე

სამშობლო ყველაფერია

უსასრულოა ჩემი სამშობლო...

„ვეკეცე, ვეკეცე, ვერ დავკეცე, საქართველოს საოცნებო გზები“... წერს მედეა კახიძე...

„მე რომ სიკვდილი მჭირს, ხომ შენგნით, ჩემო ედემო?“ გვეხმიანება მურმან ლებანიძე...

უკიდეგანოა გრძნობები სამშობლოსადმი... „აქ დაიბადა „სულიკი“... მზისკენ გაფრინდა „მერანი“... „ფიქრს დაუდლია ონისე, ბატრიონს მიღის ლელა“... /ა. კალანდაძე/

ელენე ლეონიძიანი



„ის უთხარით ტურფასა“...

ვაჟა-ფშაველამ ეს ლექსი, თურმე, მეუღლეს უძღვნა...

დიდმა პოეტმა მინას შეავედრა იგი...

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, ალბათ, მარადიულია... სიკვდილი გარდაუგალი...

გალაკტიონმა, ლიცვადმუხლ-მოყრილმა, თიბათვის მზეს სთხოვა დაეფარა, „იგი ვინც უყვარდა“ /მზე თიბათვისა/...

...და მაინც... სიცოცხლე მშვინიერია...

ნატალია გელაძე

სევდიანი ისტორია

ქართული ხალხური პოეზის ნიმუში, ბალადა, „თავფარავნელი ჭაბუკი“, სიყვარულის სევდიანი ისტორიაა, ისევე როგორც ძველბერძნული მითი, ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ...

მარადიული გრძნობის ისტორია ბევრმა შემოქმედმა ასახა...

ბალადაში ადამიანი ებრძოის სტეინას, სიყვარულის გადასარჩენად...

ბოროტება საბედისწერო აღ-სასრულს იწვევს...

ინი ამპარცუებიანი

პიმინი

ის ჩემი ქვეყნის სადიდებლად შეიქმნა...

სამშობლო, უფალი, თავისუფლება... აი, რის სიყვარულს გვასანავლის ეს საზემო სიმღერა...

პიმინი, ძველ საბერძნებოში, რომელიმე ღვთაების სადიდებელი სიმღერა იყო-მოგვითხრობს ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი. მას, თურმე, ფეხზე მდგრმი გუნდი ასრულებდა, კითარის თანხლებით... მერე, დროთა განმავლობაში მრავალი მნიშვნელობა შეუძენია...

სამშობლოს პიმინი, საზემო სიმღერა, ალბათ, ყველამ უნდა იცოდეს...

პოეზია

საოცარია იგი...

რიტმის სინატიფე და რითმის მუსიკალობა გიზიდავს თავისკენ...

ვგრძნობ როგორ ინერბოდა ლადო ასათიანის „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი“, ანა კალანდაძის „რა ვარ?“ სტეირი ვარ“, ომა ნიკლაურის „საფლავზე“ მოვა ლექსის ხე“, ტიციან ტაბიძის „რია-რია“, ბესი ხარანულის „ლექსები“...

პოეზიისა და პოეტის დანიშნულების საკითხს, ეს შემოქმედები, სხვადასხვავარად ნარმოვეიდენენ, მაგრამ ყველა ლექსის ერთი თემა გასდევს: სამშობლო, სიკეთე, თანაგრძნობა...

პოეზიას ყოველგვარი ტკივილის გაყუჩება შეუძლია, ის გვაფრთხილებს, გვასწავლის და მოაქვს ბედნიერებაც...

ნატალია ადვარა

„ბიძია თომას ქოხი“...

კიოთხულობდი და ვწუხდი ბიძია თომაზე...

შემეცნებითი და საინტერესოა ეს წიგნი...

კეთილია მოხუცი თომა, გულმოწყალე და სამართლიანია გოგონა ევა... თავისუფლების მოპოვება-რთული...

ჰარიეტ ბიჩერ სტოუმ გვასწავლა, რომ არ უნდა დავჩიაროროთ ა

კლაზის დღების განაცვალება



თბილისის მე-100 ბაბა-ბანის აღსაზრდელებს, მხიარული დღები და შემოქმედებითი ღონისძიებები ნამდვილად არ აკლიათ. შთამბეჭდავი იყო ბოლოდორინდელი სადღესასწაული ზეიმც, სადაც პატარებთან ერთად უფროსებიც იყვნენ ჩატარებული. ასევე, ხშირად იმართება თემატური ღონისძიებები და ღია გაკეთილები.

ბავშვებისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად თავს არ ზოგავს დირექცია და ბალის თითოეული თანამშრომელი. აქ გუნდური პრინციპით მუშაობენ. ყველა თავის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს.

ბაგა-ბალს სათავეში უდგას ენერგიული და პროფესიონალი ქალბატონი მეგი მარლანია. იგი 11 წლისადან რაც დირექტორია და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა და მოაწერიგა. ქალბატონი მეგი შესანიშნავად იცნობს სკოლამდელი აღზრდის სისტემას. დაიბადა სოხუმში, მაგრამ სკოლა თბილისში დამთავრა, შემდეგ კი დედაუნიკერისტები - უცხო ენების ფაკულტეტი და მაგისტრურა. ჰყაუს მეუღლე და ორი შვილი.

ბაგა-ბალში მოსელის დღი-

დან ქალბატონ მეგის მხარში ერთგულად ამოუდგა მთელი კოლეგი.



ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, დამყარდა წესრიგი, სისუფთავე და დისციპლინა. ბაგა-ბალების სააგნეტოს ხელშეწყობით და კოლეგივის ძალისხმევით, ბალი აღიქურვა თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და სახელმძღვანელოებით; მოწესრიგდა სველი წერტილები. დირექტორი დადებითად ახასიათებს ბალის თანამშრომლებს და მადლობას უხდის მათ

თავდაუზოგავი შრომისთვის.

მეგი მარლანია: ჩევნის ბაღში პატარები ისე გრძნობენ თავს, როგორც მშობლიურ სახლში, ამისთვის ჩევნი კოლექტივი თავს არ ზოგავს. თერთმეტი წლის მანძილზე ბალი გაიზარდა, გაძლიერდა. ჯერ კიდევ, 2007 წელს გაერთიანდა 3 ბალი, ერთ გუნდად შეიკრა და დღემდე ასე მოვდივართ. გაკეთდა კაპიტალური რემონტი (სამზარეულოში, ჯგუფებში, ფერეფანში, გასახდელებში) და ეზოში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლი. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. სასახლო პროცესი უფრო დაიხერხდა ასაკობრივ ჯგუფს საშუალება



აქვს, დამოუკიდებლად იმუშაოს ცენტრებში - თემის შესაბამისად. ასეთი მეთოდით, აღსაზრდელებს ფანტაზიის უნარის გაშლის და თავის გამოჩენის მეტი შენის აქვთ; ასევე, სოციალური ურთიერთობების დახვენა ხდება და ვერპალური აზროვნების განვითარების მეტი საშუალება არსებობს. ბალში სულ 737 აღსაზრდელი, 19 ჯგუფი და 107 თანამშრომელია. ჩევნთან ყველა სეზონური ზეიმები (საასალნლო, საგაზაფხულო, პირველი ივნისი, საშემოდგომო და ა. შ.) და შემოქმედებითი ღონისძიებები ხალისიანად ტარდება. ჯგუფები 2 საათში ერთხელ მუშავდება სპეციალური ხსნარით და დამლაგებლების მიერ, ყველი კვირის ბოლოს

ხდება გვინერალური დეზინფექციის ჩატარება. თვეში ერთხელ კი, ერთ-ერთი ორგანიზაციის პროფესიონალთა გუნდი მოდის და ახდენს მთელი შენობისა და ეზოს დამუშავებას. კვება კი სანიმუშოა. იგი სამჯერადია და სრულყოფილი, მგაცრად დაცულია კალორიაჟი და დღის ნორმა - თითოეული ბავშვისთვის. პროდუქცია მოდის ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა. საერთოდ, თბილისის საბავშვო ბალების აღსაზრდელები ნამდვილად იკვებებიან ჯანსაღი და სასარგებლო პროდუქტებით.

ბალში, მაინც მთავარია სასაკვლო-აღმზრდელობითი საქმიანობა. მეთოდისტის ხელმძღვანელობით, პატარების განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებული ნარმატებით ხორციელდება „სასკოლო მზაობის“ პროგრამა და ბავშვებს კარაგად მომზადებულებს გაუშვებენ პირველ კლასში.

ბედნიერი არიან მე-100 ბაგა-ბალის ცეროდენები. მშობლიურ გარემოში გატარებული წლები მთელი ცხოვრება დაამასოვრდება! ყველას გილოცავთ ახალ წელს!

მზაობელი



→ მე-7 გვერდიდან

„მზაობელი“ შეიძლებას ჩამონაზრობა

ბრძენი დავითი...

ილიას თქმით: „განათლება ჰქონის მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს“...

დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ განათლების აუცილებლობის კენის მოგვიწოდებს.

ცოდნა უხილავი საუნჯეა, უცო-

დინარი კაცი კი უხორთუმო სპილოს ჰეგას-გვასწავლის ბრძენი დავითი...

დაიღიანა აპშილაპა

სწავლა

„ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“

/ილია ჭავჭავაძე/

დავითის თქმით, უწვრთნელი ძალით პატრონს ისეთს არაფერს უშავებს, უვიცი შვილი კი სულიან-ხორციანად ღუპავს და არცხევნს... პოეტმა კარგად იცის, რომ გზა სრულყოფისაკენ ბავშვებიდანვე იწყება...

სწავლა სიკეთეა, ტაძარია, რომელშიც, თავისი დაუდევრობით, ყველა ვერ აღწევს...

დავით ზაქარევიშვილი

რედაქციის სახელით დიდი მაღლობა ბრწყინვალე პედაგოგ ლამარა გერგედავას შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის! მისი გამოცდილება მისაბაძი უნდა გახდეს სხვებისთვის. მოუნდოდებთ ყველა სკოლის დირექტორს, პედაგოგებს, ფართოდ გაშალონ და მკვეთრად გააუმჯობესონ მრავალფეროვანი აღმზრდელობითი მუშაობა.

გორის ხარებავა

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N1 (4560)
31 იანვარი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედაქცია

ზურაბ ქორქლია (თავკომარე) 599 34 37 27; ნათელა ქიმერიდე 595 58 45 72; გორის მიშველაძე 555 59 60 50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათა გურგენიდე 593 42 22 58; ეკა მამუკაშვილი 557 20 85 04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com

ტელ: (032) 2 99 80 00

(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113

